




გუშაგი და გლეხები

ცნობილი მარქსისტული შეხედულება მუშებსა და გლეხებზე: ქალაქის მუშები ანუ პროლეტარები წარმოადგენენ ერთადერთ კლასს, რომელთა არსებობა და განვითარება დამოკიდებულია სოციალისტური რევოლუციის წარმატებაზე და სოციალისტური საზოგადოების შექმნაზე.

გლეხობა კი ეკონომიკურად დაინტერესებულია კერძო საკუთრების შენარჩუნებაში, გამდიდრებაში და ამიტომ ის ეკუთვნის პროლეტარიატის მოპირდაპირე ბურჟუაზიულ კლასს. გლეხობა არამც თუ კონსერვატიულია, ის რევოლუციონერია. აქედან უნდა გამდინარეობდეს გლეხობისადმი, რომლისათვის სოციალისტურმა მთავრობამ უნდა მიუძღვნოს ყურადღება და მთავრობის მარქსისტული პოლიტიკა გლეხთა საკითხში.

მუშა და გლეხობა მთლიანად სხვა და სხვა მოპირდაპირე კლასებს ეკუთვნის. ჩვენ კი მუდამ წინააღმდეგ ვამტკიცებდით და ვიცავდით იმ ერთადერთ სწორ დებულებას, რომ ქალაქის დაქირავებული მუშა და მშრომელი გლეხობა, რომელიც საკუთარი შრომით ირჩენს თავს და არ სარგებლობს დაქირავებული შრომით — ეკუთვნის ერთ მშრომელთა კლასს. მუშათა ან პროლეტარათა კლასის ნაცვალად ჩვენ ვიცავდით და ვიცავთ მშრომელთა კლასს. ვამტკიცებდით, რომ სოციალისტურმა პარტიებმა უნდა დაემყარონ არა მარტო პროლეტარიატს, არამედ მშრომელ გლეხობასაც, ვინაიდან ესენი არიან განუყოფელი ძეგლები, რომელთა მონაწილეობა და ჩაგვრის არა ეშველება სანამ იარსებებს კაპიტალისტური რეჟიმი.

ეს ჩვენი მტკიცება განსაკუთრებით ნათელი გახდა და მშრომელი გლეხობის მოძრაობა აუცი-

ლებელი შეიქმნა, როცა ოქტომ. რევოლუციის ნაყოფად დროს არ გაუმართლდა ორიენტაცია და საგლეხო ევროპის პროლეტარიატზე. ოქტომბრის რევოლუციის ხსენებისას აუცილებელი შეიქმნა ორიენტაცია ჯერ სოფლის ღარიბ-ლათაკებზე და შემდეგ საშუალო გლეხობაზე. ე. ი. ოქტომბრის რევოლუცია იმდენად შეიქმნა დაყრდნობად მშრომელ გლეხობას პროლეტარიატთან ერთად. ეს ნაბიჯი გადასდგა გაბედულად რ. კ. მ. და არც მოსტყუვდა: მშრომელი გლეხი კაცობა ერთგული გამოდგა ოქტომბრის რევოლუციისათვის. ამ გამოცდილებას თავის შედეგი მოჰყვა და დღეს არამც თუ ჩამოჩენილ რუსეთში ქადაგებს კომპარტია მჭიდრო კავშირს პროლეტარიატსა და გლეხობას შორის, ის იმ ღონისძიებას საერთაშორისო მასშტაბით. გ. ზინოვიევი III ინტერნაციონალის აღმასკომის პლენუმზე დასვა ეგ საკითხი და მოითხოვა, რომ ნაცვალად მუშათა მთავრობისა უნდა წამოეყენათ ყველგან ღონისძიება გლეხური მოძრაობისათვის.

ამ რიგად არამც თუ ჩამოჩენილ რუსეთში და საქართველოში, რომელიც უმთავრესად გლეხურ ქვეყნებს წარმოადგენს და რომელთა ეკონომიკაში მთავარ როლს სოფლის მეურნეობა თამაშობს, — თავი დასავლეთ ევროპაშიც, სადაც კაპიტალიზმის განვითარება უნდა იქნას დადგენილი მიღწეული, აი ამ ინტერესთა მჭიდრო კავშირს აუცილებელი გახდა, რომ სოციალისტურმა პარტიამ დაეყრდნობა არა მარტო პროლეტარიატს, არამედ მშრომელ გლეხობასაც. ეს უსათუოდ დიდი რადიკალი ცვლილების შეტანა კომინტერნის ტაქტიკაში და ჩვენ მისგან დიდ ცვლილებებს მოვილოთ რევოლუციონერული ფრანტის გასაძლიერებლად.

გადატრიალება ბულგარეთში

გენა. 17 ივნისი. ბულგარეთის კომპარტიაში გამოაქვეყნა დეკლარაცია, რომელშიაც აცხადებს, რომ სტამბულინის მთავრობა, რომელსაც დამსახურება მიუძღვის მსხვილ ბურჟუაზიასთან ბრძოლაში, თანდათანობით მსხვილ მემკიდურების ხელი-სუფლებათ ჩამოყალიბდა და თავიდან ჩამოიშორა მუშათა მასებს და ამით თვითონ შეუწყო ხელი თავის დაცემას. ახალი მთავრობა, ნათქვამია დეკლარაციაში, არაჩვეულებრივ საშიშროებით ემუქრება პროლეტარიატს. მოწოდება მოითხოვს საალყო წესების მოხსნას და უღარიბეს გლეხებიდან გამოსულ მუშების მონაწილეობას მუშათა და გლეხთა მთავრობისათვის საბრძოლველად.

გენა. 17 ივნისი. სოფიიდან მიღებული ცნობებით, გლეხთა მოძრაობა ბულგარეთში მცირდება, ახალი მთავრობის მიერ ტერორის გაჩაღების და აგრეთვე გლეხების შეუკავშირებლობის გამო.

პარიზი. 17 ივნისი. სოფიიდან მიღებული ცნობებით, კორუპციის მიღების დროს, ბულგარეთის ახალმა გარემო საქმეთა მინისტრმა კადკოვმა ხაზი გაუსვა გადატრიალების ნაციონალურ შინაურ პოლიტიკურ ხასიათს.

პარიზი. 17 ივნისი. სამხრეთ-სლავიის გაზეთის „გრემი“-ს ცნობით, ბულგარეთის ახალმა მთავრობამ ჩაიხშო სტამბულინისკომუნისტების ცდა ახალი მთავრობის ჩამოსაგდებად. მაგრამ ბუქარესტში, პარიზში, ამტკიცებენ, რომ გლეხების მღელვარება ბულგარეთში გრძელდება.

ბერლინი. 17 ივნისი. რუტის ოლქში ფრანგები აძლიერებენ რეპრესიებს, რის გამოისობითაც მცხოვრებლები უფრო აგრესიული ხდებიან შემოვიწროებულთა მიმართ.

გენერალმა დეგუტმა განკარგულება გასცა ნახშირის ფირმებისათვის დანიშნულ ნედლი მასალისა და ქიმიურ პროდუქტების ბლოკადის შესახებ.

გერდენის სამხედრო სასამართლომ რამოდენიმე დირექტორს, რომელთაც უარი სთქვამს საფრანგეთისათვის ნახშირის მიწოდებაზე, ციხეში დამწყვედვა მიუსაჯა ფულის ჯარიმის დიდი თანხის შეცვლით. ეს რესურსები და აგრეთვე რკინის გზის ხაზის ხშირი გაფუჭება ნედლი მასალის ნაკლებობასა და მთელ რიგ ფაბრიკებისა და ქარხნების შეჩერებას იწვევს.

რეისხანკის ქონების გატაცება. რამი. 19 ივნისი. საფრანგეთის საოკუპაციო მთავრობამ წაიღო რეისხანკის ქუთუნილი 50 მილიარდი მარკა.

ბერლინი. 19 ივნისი. „ტიმისი“ კომერციული რედაქტორი რეისხანკის ფულების გატაცების

გამო სწერს: „რეისხანკი სრულიად ავტონომიური დაწესებულებაა. მისი ქონების გატაცება არა თუ არა კანონიერია. არამედ უაზროა, რადგან უფრო აძლიერებს სახელმწიფოში შექმნილ ქაოტურ მდგომარეობას“.

ფაშისმის კრიზისი. რამი. 18 ივნისი. საპარლამენტო კომისია, რომელიც იხილავს მთავრობის მიერ შემუშავებულ საარჩევნო რეფორმას, განაგრძობს თავის სხდომებს ჯიოლიტის თავმჯდომარეობით. რეფორმის პროექტს ოპოზიციაში უდგანან სოციალისტები, ლიბერალები და კათოლიკეები. კომისიის წევრები: ტურატი, ლაძარი და კეიზა ილაშქრებენ პროექტის წინააღმდეგ. როგორც იწყებინა, მუსოლის განზრახული აქვს, რაოდენ არ უნდა დაუჯდეს მიაღებინოს ეს პროექტი და იმ შემთხვევაში, თუ პარლამენტმა არ მოიწონა იგი, დაითხოვოს პალატა და გაატაროს საარჩევნო კანონი სამეფო დეკრეტით. საარჩევნო რეფორმის საკითხში პარლამენტი ორ ბანაკად გაიყო, უმეტესობა ოპოზიციაში იმყოფება. პროექტის წინააღმდეგი არიან: სოციალისტები, კომუნისტები, სლავიანები, გერმანელები, სარდინელები, ავტონომისტები და კათოლიკეები; მეორეს მხრივ — დანარჩენი პარტიები, რომელთა შორის ზოგიერთები თუმცა არ ემხრობიან ოპოზიციას, მაგრამ მაინც და მაინც დიდი ენთუზიზმით არ იცავენ მას, მაგრამ შესაძლებელია, რომ კენჭისყრის დროს მრავალი კათოლიკე თვს შეიკავებენ და მუსოლის განაგრძებას უსაძლო გახდება. კანონის მიღება არ მიღებაზე დამოკიდებულია დღევანდელი მთავრობის ბედი. თუმცა ფაშისტები შეადგენენ შედარებით ყველაზე მეტ პარტიას, მაგრამ არსებული სიტუაციით წარმოებულ არჩევნებში ვერ მისცემს მათ აბსოლუტურ უმრავლესობას. მუსოლის რეფორმა დამყარებულია იმ პრინციპებზე, რომ მთავრობის არ აქვს საკმაო ძალაუფლება, არა ჰყავს უმრავლესობა პარლამენტში, რადგან ასეთ მდგომარეობის დროს, ყოველ უმნიშვნელო საპარლამენტო ჯგუფს ოპოზიციაში გადასვლით შეუძლია გადაწყვიტოს კანონების დაცემა.

რუსეთი და ოსმალეთი. ანგორა. 18 ივნისი. აშ. სურიცმა ოსმალეთის განთავის წარმომადგენლებთან საუბრის დროს განაცხადა: „რუსეთმა და ოსმალეთმა ლეკვიდაცა უყვეს იმპერიალისტური სახელმწიფოების თავდასხმის, ესლა ორთავე სახელმწიფოს წინაშე სდგას ეკონომიური ფრანკი. ეკონომიური ბრძოლა უმეტესია იარაღით ბრძოლაზე, მაგრამ შეთანხმებული მოქმედებით ამ ფრონტზედაც მივაწვდეთ გამარჯვებას. ჩვენი უმთავრესი ამოცანაა საეკონომიკური რეფორმების და საკონსული კონვენციის დადების დაქარება. რუსეთი და ოსმალეთის მეგობრობა დამყარებულია ორთავე მხარის ინტერესებზე. ჩემი მიზანია აშ. არალოვის მიერ დამყარებული მეგობრობის გაგრძელება და გაღრმავება.“

გაზეთი „სტრიკუნა“ ღირს
თბილისად 1,000,000 მან.
ცალკე ნომერი ყველგან 40,000 მან.
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, სახანლოს ქუჩა, № 6
ტელეფონი 10—84 — ფოტის უთი, № 190.

განცხადების ფასი:
1 გვ. 200,000 მან. ნაწილობრივ
4 „ 150,000 „
საგამოცემო განცხადება
1 გვ. 2,500,000 მან.
4 „ 2,000,000 „

ახალი ამბები

წელს ტფილისის მეორე ვაჭართა ტენიკუმის სრული კურსი დაამთავრა შემდეგმა პირებმა. აღსანიშნავია, რომ ეს პირველი ქართული გამოცემაა მას შემდეგ რაც ჩვენ სკოლებში გატარდა ნაციონალიზაცია.

- ძირითადი განუთვინებლებიდან:
1. ბარნაბიშვილი მახარობელი
 2. ბეჟანაშვილი მიხეილ
 3. ბერიძე პლატონ
 4. გიორგობიანი ივანე
 5. გოგებაშვილი ვლადიმერ
 6. გოცაძე სერგი
 7. გუდიაშვილი მიხეილ
 8. გუარაძე ნიკოლოზ
 9. დავითაშვილი მიხეილ
 10. დემურაშვილი ირაკლი
 11. ეზიშვილი ოქროპირ
 12. ვარსიამაშვილი ალექსანდრე
 13. კანდელაკი დავით
 14. კეზელი ნიკოლოზ
 15. კელდერაძე ანტონ
 16. მამამთავრიაშვილი დავით
 17. მეთონიძე ნიკოლოზ
 18. ნანავა ივანე
 19. ოტმერი სერგი
 20. ორველიაშვილი ნიკოლოზ
 21. სანაძე სერგი
 22. სპარსიაშვილი მიხეილ
 23. ქაცარავა დავით
 24. ქაჯაია დიმიტრი
 25. ქინქლაძე ნიკოლოზ
 26. შეყარაძე შალვა
 27. ჭანკოტაძე რევაზ
 28. ხომერაძე გიორგი
 29. ხოფერიასამონ
 30. ჯაფარი ბიძინა
 31. ჯანაშვილი არჩილ
 32. ჯანაშვილი ვარლამ
 33. ჯანაშვილი ნიკოლოზ
- პარალელურ განუთვინებლებიდან:
1. ბაქრაძე დიმიტრი
 2. გაბუნია ირაკლი
 3. გოთოშია სოლომონ
 4. გუგუშვილი ივანე
 5. დედუაშვილი ბიძინა
 6. ვლადიმერაშვილი არჩილ
 7. თედორაშვილი ირაკლი
 8. იაგორაშვილი მიხეილ
 9. კვირკველია რაფიელ
 10. მამაცაშვილი გრიგოლ
 11. მეგრელიშვილი ალექსანდრე
 12. მურვანიძე მირონი
 13. ნასიძე გიორგი
 14. ნახუტაშვილი შალვა
 15. ქუდუტი ივანე
 16. როგავა გიორგი
 17. სოხაძე კონსტანტინე
 18. ტატიშვილი იონა

დავსხმართ დიად საქმეს

მიუხედავად იმისა, რომ დიდი ხანი არ არის, რაც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა, მაინც ამ მცირე ხნის განმავლობაში მრავალი თვალსაზრისი და ღირსშესანიშნავი საქმენი დაგვირგინდა, როგორც სამეურნეო ისე კულტურულ ფრონტზე, მშრომელი მასის ენერგიულ დახმარებით.

ამ მხრივ არც ქ. ლანჩხუთი ჩამორჩა საქართველოს სხვა კუთხეებს. ლანჩხუთის აღმასკომმა გასცა ახალი კალაპოტი მდ. რიონისთვის, რომელთაც გადაარჩინა მრავალი ნათესი მიწები წყალდიდობის წალეკისაგან და რამაც დიდად შეუწყო ხელი სასოფლო მეურნეობის აღდგენას. ამასთან ერთად ამ ერთი წლის წინათ ადგილობრივ ხელისუფლებამ მშრომელ მასასთან ერთად საფუძველი ჩაუყარა მეტად სიმპატიურ და კულტურულ საქმეს „სახალხო სახლის“.

რა თქმა უნდა ამ საქმის ინიციატორები დარწმუნებული იყვნენ, იმაში რომ ისინი ვერ შესძლებდნენ ისეთ მცირე თანხით რომელიც მათ განკარგულებად იყო, „სახალხო სახლის“ აგებას, მაგრამ იმედოვნებდნენ, რომ ამ მეტად კულტურულ და ისტორიულ საქმეს გამოეხმარებოდა როგორც გურიის ისე საქართველოს მშრომელი მასა.

ამ მიზნითაც ადგილობრივ კომპარტიის სარაიონო კომიტეტის, აღმასკომის და საბჭოს წევრების

19. ფურტუხიძე კონსტანტინე
 20. ქორჩილაძე გიორგი
 21. ქურბული ირაკლი
 22. შარაშენიძე ბიძინა
 23. ჩიქვილაძე სერგი
 24. ჩხეიძე ვასილ
 25. ცინცაძე ალექსანდრე
 26. ცინცაძე ვალაქტიონ
 27. ცხველიანი შალვა
 28. ქეიშვილი ვასილ
 29. ჭკადუა ლეონი
 30. ხეთაგური მიხეილ
 31. ჯუღარიძე მიხეილ
 32. ჯაფარიძე ნიკოლოზ
- ვაჭრობა სპარსეთთან. ვაჭრობა ამიერკავკასიის რესპუბლიკების და სპარსეთის შორის უფრო ვითარდება, ბაქოს იარაღს ამ ვაჭრობის განვითარებაში დიდი როლი ითამაშა.
- საბჭოთა სადგური. სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებულ პასტერის სადგურს საცდენ ცხოველების შესაძენად მიეცა 50 მილიონი მანეთი.
- ვაჭრობა საზღვარგარეთთან. ამიერკავკასიის რესპუბლიკების მთავრობამ დამტკიცა პროექტი, რომლის ძალით გაიგზავნებინა საზღვარგარეთის სახელმწიფოებში სავაჭრო-მრეწველობის ორგანიზაციების წარმომადგენელნი.
- შრომის ბირჟა. შტატების შემცირების გამო შრომის ბირჟას აუარებელი მუშა-მოსამსახურე ახვევია თან მოთხოვნილება კი ერთ მესედსაც არ აკმაყოფილებს უმუშევართ.
- საქონლის ბირჟა. 20 ივნისს საქონლის ბირჟაზე არავითარი ცვლილება არ მომხდარა.
- მოთხოვნილება. მოთხოვნილება ბირჟაზე იყო ქვის მარილის, შუშის, კუბანის ფქვილის, მატყლის, წამლეულობის, ქინაქინის, ფურცლიან თამბაქოს, ქინაქინის, კანიფოლის, შპაკატის, მუშის ფესისაძელების და სხ.
- წინადადება. წინადადება და მოწოდება იყო ბოთლების, შუშის, მჭარონის, რკინეულობის, რუსეთის მანუფაქტურის, წმენქებისა, თათლის, ქვის მარილის, კონიაკის ზეთის და სხ.
- ვალიუტის ყიდვა-გაყიდვა. ვალიუტის ყიდვა-გაყიდვას აწარმოებს სავალიუტო ბირჟის მაკლერს შუალის 12 საათამდის ბირჟის შენობაში.
- ბირჟა. ბირჟაში შესვლა და ვალიუტის ან საქონლის ცნობის ან ყიდვა-გაყიდვის საწარმოებლათ შეუძლიან მხოლოდ ბირჟის წევრებს, მხოლოდ არა წევრებს, ორი წევრის უზამდგომლობით.
- სავალიუტო ბირჟა. 20 ივნისს ოფიციალური ცნობა: ჩერვონეცი—13.900.000 მან., გირგ. სტერლინგი—15 050.000 მან., დოლარი—3.500.000 მან., ოსმალური ლირა—2,285,000 მან., ფრანკი—170.000 მან., იტალიური ლირა—115.000 მან.
- ოქრო და ვერცხლი. ოქრო და ვერცხლის მანეთებზე რჩება ძველი კურსი.
- გაერთიანებულ ქრებამ აირჩია „სახალხო სახლის“ სააღმშენებლო კომისია შემდეგი პირებისაგან: აშ. ს. პარმენ ცინცაძე 2 თელ. ლორენტი 3 დავით ლორთქიფანიძე 4. აჭარის ტანის სახალხო კომისარია საბჭოს თავმჯდომარე თ. ხიშიაშვილი, 5. კოწია იობიშვილი, 6. ანდრო დოლიძე, 7. კონსტანტინე ცინცაძე, 8. ტიტე ართიშვილი, 9. პეტრე მიქაძე, 10. სოლომონ დოლიძე, 11. ვარლამ ებრაძე, 12. პლატონ ზენაიშვილი, 13. ვარლამ იშნაძე, 14. ვანო მახარაძე, 15. ვოლია ცინცაძე, 16. აფრასიონ ურატაძე, 17. კონსტანტინე მარჯანიშვილი, 18. გიორგი ფატურია, 19. ბართლომე გვარჯალაძე და 20. გრამიკონ სვანიძე, რომლებსაც ევალებათ მიიღონ ყოველივე ზომები და აღმოუჩინონ ყოველგვარი დახმარება „სახალხო სახლის“ ფონდის შესაქმნელად.
- ლანჩხუთის მშრომელი გლეხობა დარწმუნებული არის, რომ საქართველოს მუშები და გლეხები არ დაიზარებენ თვითონ წვლილს და გამოუწვდის მშურ ხელს ამ დიად მიზნის მისაღწევად.
- პრეზიდენტის თავმჯდომარე: პ. ცინცაძე.
- კომისიის წევრები: 1. პ. მიქაძე, 2. ვანო მახარაძე.
- ვთხოვთ ყველა განთიების რედაქციებს გადაეტანეს ეს წერილი.

გან გავიროლი

ესანეთში, როდესაც გაზაფხულის ბუნება შეიშალა ფერებით: წითელი და სისხლის, — როცა მოხუც ერის სისხლს არ აჩნდა მოღუენება, მაშინ სისხლის ამ ზღვაში დაიბადა მგოსანი.

უბნაოს საფარი შეიქნა შარა ქუჩა. თუ ვინ ჰყავდა მშობელი, იმან ეს არ იცოდა. მომავალმა ცხოვრებამ ბავში ვერ დააყუჩა. მინდოდა იმან, მისი მთელი თავის სიცოცხლე ტანჯვის ცეცხლით იწოდა.

ვალენტი. მალაგა. სარაგოსა. კორდოვა ყველგან ფიქრობდა მოაწვა, მოესია. მაშინ ლექსის წყურვილმა გულში ძლიერ მოთოვა. დაისახა მას შემდეგ მან მიზნად: პოეზია!

მხოლოდ ლექსმა, მხოლოდ მან მგოსანი შეიფარა და შეეცადა ერთმანეთს ცრემლებით ნაგუბები. ერთად ერთმა მან მხოლოდ მგოსანი შეიფარა და შეეცადა ერთმანეთს ბუნებიდან ტყუპები.

„თექვსმეტი წლის ბავში ვარ, ოთხმოცი წლის ძლეული. თავადი ვარ — ბატონი, ლექსი — გმა მსახური. ჩონგური ვარ ყველას; მიწაზე მაქვს სხეული, ხოლო სული დაფრინავს, ღრუბლებს თავს ახურია.“

ხედავდა რომ არ ჰქონდა თანამოძმეთ სისხლს ბოლო და დევნილი ერისთვის შეუდრეკლად იწოდა. მაგრამ მისი ცხოვრება იყო ერის სიმბოლო: დიდ კოცონზე ორ ცეცხლში სანთელივით იწოდა!

მას მოუტყდეს თავისი ძვირფასი მამობილი. ანუგეშებს თავს იმით, რომ ის ლექსს გააჩაღებს... და დასწყევლა ცხოვრება, ცხოვრება დაგმობილი, როცა ღონ ჰანაგდოდა ჩაუფარდა ყაჩაღებს!

მაგრამ ახლავს, მიმართავს ლექსის წერის თვისებას. ამჟღავნებდა მგოსანი დამწერებულ გულს ამით. ყველგან ლექსი უნგრევდა ტანჯვის ფიქრთა მისევას და დამღერდა თავის ლექსს, ვით სოლომონ — სულამით!

ერის გულში ღრმა ბნია, შესაფარი იშოვნა მოქმედება მგოსანის რადგან ზეკაცს შეშენდა. და ამიტომ გვირგვინით, რომ შეეშოთ მის ხსოვნა მისმა გრმა მიუძღვნა ეს ღამაში ლეგენდა:

არაბების მგოსანი შურის ცეცხლით იწოდა და იმის მოსასობად მწარე აზრი გაჩაჩხა. ლექსის შეთხზვა, რადგანაც იმან უკეთ იცოდა, მოჰკლა ჩემი და ბაღში ის ლეგის ქვეშ დამარხა.

და ამ ლეგმა ზამთარში უტყრად გაიხარა. ეს ამბავი ეოცათ იქაურ მრევლს — ჯამაათს, და როს მეფე სხვა ხალხთან საკრეფად დაიხარა, ნახეს, იმ ზღზე ტყბილი არაფერი ექამათ!

არაბს ჰკითხა მიზეზი... იღვა ამ დროს ქარბუკი ხალხი თვალყურს ადევნებს თოვლის ფეფქებს, შენაბერს... შოაგონდა მაგრამ მაშინ დამარხული ქაბუკი და კანკალით თვის მეფეს ის უამბობს ყველაფერს.

— ახლა მივხვდი, გავიგე... მაგრამ მეფემ დაიძახა — ასული ხომ ლეგია, ვარდებით შერაზული? მის სიმბოლო ეს იყო, ეს მიზნად დაისახა, იმას მარად პირს ადგა „იუდეველთ ასული!“

გერეულ ბაზოვი.

სნის“ მე-3-ე გვერდზე და ამბობს: იქ აღნიშნული წმინდა ლიტერატურული ფაქტი დღემდის უარყოფილი არ არისო.“

რა ფაქტია ეს „ფაქტი“? ხსენებულ ალავს, ამ ათიოდ წლის წინათ, ბ. კაკაბაძემ ბრალი დასვა „საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების“ სათავეში მდგომ პირებს: პოემის ხელნაწერებით სარგებლობა აღნიშნულს. როცა „საზოგადოების“ საბჭომ პრესის საშუალებით ეს ბრალდება გარკვეულად ახსოვს „1914 წ. 15 ნოემბ., № 71,“ საკაბაძემ მაღე (იმავე წელსში № 75) საპასუხო წერილი მოათავსა, რომელშიაც აღიარა, რომ მარალა საზოგადოების საბჭოს საკუთრივ მის (კაკაბაძის) წინააღმდეგ არავითარი „ფორმალური დადგენილება“ არა ჰქონია, და თან „ღრმა ბოდიშით“ მოიხდა „საზოგადოების“ სათავეში მდგომ პირთა წინაშე „წარსულისათვის“. ამით ინციდენტი ამოიწურა, და მასხადამე გახდა ლიტერატურული ფაქტი“ უარყოფილ იქნა. მაგრამ აბულაძისათვის, ანს, ჯერ კიდევ არ გათენებულა, და იგი ჩვეულებრივ, ბოდიშმოუხდელად, გაიძახის: ეს „წმინდა ლიტერატურული ფაქტი დღემდის უარყოფილი არ არისო.“

რაღა შეეხება დანარჩენ ორ ბრალდებას, რომელთაც აბულაძე საკუთარი მე მიყენებს, პირველი სათაგნის შესახებ დღეს აბულაძე ბრძანებს: „აქ მე ამბობ მხოლოდ იმას, რისაც თვალთ მნახველი გარ და რაც დამახსოვდა“. ჩვენ კი კატეგორიულად ვაცხადებთ, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერთა სარგებლობის შესახებ საბჭოს დადგენილება

არსებობს (1918 წ. 1 მაისის ქურნალი № 76, მუხ. 6), სადაც დასახელებულია ამ დადგენილების ინიციატორი, და ყველას შეუძლია შეამოწმოს რომ ის პირი მე არა ვარ. მაშასადამე როგორღა შეეძლო აბულაძეს (თუ იგი მაშინ სალი კაცის მდგომარეობაში იყო) „თვალთმშობილველ“ გამხდარიყო იმისი, რაშიაც ბრალსა მდებ?... აშკარაა, „მეცნიერი“ მეველვარისათვის აქ ან „თვალს“ უღალატნია, ან „ხსოვნა!“ მაგრამ ამის გამოკვლევა ჩვენი სპეციალობისა და წერილის დარგების სცილდება, და ამიტომ აღარაფერს ვამბობთ.

მისი მეორე ბრალდების გამო ჩვენს შენიშვნას აბულაძე უჩვეულო მდგომარეობაში მოუყვანია, რადგან მას თურმე ნახმარი ჰქონია სიტყვა „ხეც-ცია“ და არა „კომისია“, და ჰგონია, ამ შესწორების შემდეგ, მისი ბრალდება ძალაში რჩებოდა და სინამდვილეს შეეფერებოდა: „ნუ თუ ესეც ცილისწამებააო?“, გაიძახის იგი. — „ღიახ, ცილისწამება“, ვუპასუხებთ ჩვენ, „და სწორედ ისეთივე ცილისწამება, როგორც ზეოალინშულ თქვენი „თვალთმშობილ“ ვითომდა — ფაქტი“.

ამით ფსყვერთ ამ საგნის შესახებ ყოველგვარ მიწერ-მოწერას, და წინადადებს ვაძლევთ მოქალაქე აბულაძეს: მიჰმართოს, რომელ სამჯგვროსაც ინებებს, ჩვენ ყველგან დაგუმტაკებთ, რომ მთელი მისი გამოსვლა ჩვენს წინააღმდეგ არის არა „უპრეტენზიო აღნიშვნა ფაქტებისა“, როგორც იგი ბრძანებს, არამედ ის, რასაც ეთიკასა და იური-პრუდენციის „ცილისწამება“ ეწოდება.

1923, VI, 18.

ბას განიცდიან და სტკებთან ბუნების სიმშენიეროთ.

რამდენადაც მომხიბველი და ღამაზა გაზაფხული, როდესაც სიცოცხლე სდულს და გადმოდის, იმდენად უსიცოცხლო და მოსაწყენი ზამთარი, სადაც ბუნება პირქუშობს და სხვა და სხვა ყვავილნი არ ჰყვანენ მიდამოს თავის სურნელებას.

თუ ყოველივე ზემოხსენებული ითქმის ბუნებაზე, ასევე შეგვიძლიან ვსთქვათ ამა თუ იმ ხალხის ცხოვრებაზე. ის ერი, რომელსაც თავისი გენიოსობით აუმაღლებია და აუყვავებია სხვა და სხვა ხელოვნების, ანუ ტექნიკის დარგები, იქ სიცოცხლე სდულს, იქ მარად გაზაფხულია, და ის ხალხი უკვდავია; ხოლო ის ერი, რომელიც ყოველივე ამას მოკლებულია, მის სიცოცხლზე ლაპარაკი ზედმეტად მიეჯიწია, იქ მარად ზამთარია, მოწყენილობა და სიცარიელე.

თუ ვინმესთვის საჭიროა ხელოვნების და ტექნიკის განვითარება-აყვავება, უმთავრესად ეს ესა-ჭიროება ისეთ ერს, როგორც პატარა საქართველოა, რადგან პაწია ერს მხოლოდ მონების საშუალებით შეუძლიან გამოიჩინოს თავი და უზრუნველ ჰყოს თვის არსებობა, რადგან ფიზიკური ძალით იგი ვერაფერს ყურადღებას ვერ მიიპყრობს. პატარა ერმა ენერგია უნდა დახარჯოს სწავლა-განათლებლისათვის და მისცეს ნიჭს ფართო გზა. თუ თვითმპყრობელობის დროს რუსეთის ბიუროკრატია გადაეღობებოდა წინ ყოველივე ამ საქმეში, დღეს ხომ საქართველოს ამ მხრივ არავითარი დაბრკოლება არა აქვს. დღესაც, ქართველთა შორის, მრავალი ნიჭი გაუშლელი-გაუფრჩხენელი კვდება. რომელსაც ყურადღებას არავინ აქცევს.

27 აპრილს, ვერაზე, წმინდა ნიკოლოზის სასაფლაოზე მიწას მიაბარეს ჯერ თითქმის ახალგაზრდა, გასიცარიე ნიჭის პატრონი, მხატვარი ალექსანდრე პეტაშია. მისი ნიჭის შესახებ ყური უჯდოთ რას ამბობს თვით მისი მასწავლებელი, ყველასათვის კარგად ცნობილი და სახელგანთქმული მხატვარი გაბაშვილი:

„ენით ვერ შემოძლიან გამოვსთქვა თუ რა რიგ ნიჭიერი იყო პეტახია, მთელ ჩემს მოწაფეობაში ყველაზე უნიჭიერები იყო იგი, მე დიდ იმედებს ვამყარებდი მასზე, ვფიქრობდი აქედამაში გამეგზავნა, რადგან რამდენიმე სტიპენდია უკვე დანიშნულია ჩემ მოწაფეთათვის. ძალიან ვსწუხვარ, რომ იგი ასცდა თავის გზას, და, ხელმოკლეობის გამო ფოტოგრაფიამ გაიტაცა, თუმცა, ფოტოგრაფიის ხელოვნებაში მან თვალსაჩინო როლი ითამაშა. მისი სიკვდილი რომ გავიგე, ჩემს მწუხარებას საზღვარი არა ჰქონდა. ის იყო აგრედე ნამდვილი ადამიანი, ზრდილობიანი და პატიოსანი, რომელიც იშვიათი მოვლენაა ჩვენში.“ ასე ამბობს პირველყოფი გაბაშვილი პეტახიაზე. ასეთი ადამიანი მიუბარეს მიწას ვერაზე, 27 აპრილს, და ქართველმა საზოგადოებამ ამის შესახებ კი არაფერი არ იცოდა. ვინ იცის კიდევ რამდენი პეტახიასებრი ნიჭი კვდება უწყურადღებობის გამო და ქართველი ხალხი კი ვანიცდის სიმშლის კულტურის და ხელოვნების დარგებში. პეტახიამ ფოტოგრაფიის მოჭკიდა ხელი, რადგან ეს უკანასკნელი მას მატერიალურად უზრუნველ ჰყოფდა, და ამ გვარად, მას დრო აღარ ჰქონდა, რომ მთელი თავის ენერგიით დასწავლვოდა მხატვრობას და გამოეჩინოს თავისი საოცარი ნიჭი. მიუხედავად მისა, მან მაინც შესძლო რამდენიმე სურათის დახატვა, რომელიც ღირსია ყურადღების

და რომელსაც საჭირო არის ყურადღება. ნიჭიერი ვისიც ჯერ არს და შეიძინოს ეს სურათები, რითაც დახმარებას აღმოუჩენენ მის ქვეყნს, რომელიც პირობებს ყურადღებას.

როდესაც ჩვენ ვანტიკარა-სტუდიაში ვსტუმრობი ფოტოგრაფიამ გაიტაცაო, ამით არ იფიქრო პირველყოფი მკითხველი, რომ ფოტოგრაფიის დაბლა ვაყენებდეთ, თუმცა ჩვენში არის გამეფებული ის აზრი, რომ აპარატი ხატავსო და არა ხელოვანი. ეს თუ ასეა, ამ შემთხვევაში, ჩვენ შეგვიძლიან ასე ვიმსჯელოთ: კალამი სწერს და არა მწერალი, ანუ „კისტი“ ხატავს და არა მხატვარი, როგორც კალამს არ შეუძლიან დასწეროს ხელოვნური ნაწარმოები, თუ იგი არ არის ხელოვნის ხელში, აგრედვე აპარატს არ შეუძლიან გადილოს მხატვრული სურათი, თუ იგი არ არის ხელოვანი ფოტოგრაფის ხელში. ფოტოგრაფია, რომ ხელოვნება არ იყოს, ამ შემთხვევაში, სურათებს ყველა ერთნაირად გადილებდა და ალავი არ ექნებოდა ასეთ მოვლენას, რომ ფოტოგრაფიული სურათი ზოგჯერ ბრუცავნია. როდესაც ხელოვნებაზე ვლაპარაკობ, აქ სახეში მყავს ნამდვილი ხელოვნები და არა ფინალები. ხელოვნებას რომ თავი დავენებოთ, ფოტოგრაფია ძალიან მაღლა სდგას კულტურულ-ისტორიული მხრივ. იესო ქრისტეს და შოთა რუსთაველის დროს, კიდევ წინეთ ფოტოგრაფია რომ ყოფილიყო განვითარებული და გადაეღოთ მაშინდელი ცხოვრების სურათები, აგრედვე მოსახლეობა და სხ., დღევანდელ მეცნიერებას აღარ დასჭირდებოდა თავის მტერევა იმის შესახებ, თუ რანი ვიყავით წინეთ, ან ვინ ვიყავით. ინტერნაია ხელოვნება არ არის, მაგრამ ერთი წუთითაც არ მინდა წარმოვიდგინო ის, რომ ეს უკანასკნელი დაბლა იდგეს სხვადასხვა ხელოვნებაზე, ამიტომ მარტო ხელოვნების დაფასება და სხეების არ დანახვა სიმშცით მიმართია. თავისთავით ცხადია, რომ ფოტოგრაფია ხელოვნებაა, იგი არის დიდი კულტურული საქმე, რომელიც ღირსია დაფასების.

ესლა შეგვირდები პეტახიაზე, თუ ვინ იყო იგი ფოტოგრაფიის ხელოვნების დარგში. მან ფოტოგრაფია, როგორც ნიჭიერმა მხატვარმა, ადვილად დაიმორჩილა და იგი უმაღლეს წერტილამდე ავიდა. დღის თეილისში მრავალი საქმეებია შეჩერებული და ვეღარ კეთდება იმის გამო, რომ არ მოიპოვება ჯერ-ჯერობით არამც თუ საქართველოში, არამედ მთელ კავკასიაში ნაკლებად იყოს ისეთი მხატვარ-ფოტოგრაფი, რომელსაც შეეძლოს იმ საქმის ისე შესრულება, როგორც პეტახია ხატავდა. ამ მხრივ იგი ავიდა ფოტოგრაფიის ხელოვნების უმაღლეს წერტილზე. ძველი მთავრობის კანონებმა პეტახიას თავი ამოაყუდა თფილისის ფოტოგრაფ კოზაკის სამხატვროში და აამაღლა კოზაკის ფირმა. როგორ ამბობს ნიჭს კავიბალხში, როგორ ბოჭავს მას, როგორ აბრთმევს საშუალებას თავისუფალ მოქმედებისას...

მოკლდა პეტახია მისი ადგილი ცარიელია და ვინ იცის, როდის და ვინ დაიჭერს მას...

გარლამ ჩლაიძე.

პეტახია — ფოტოგრაფი

გოჭკა

მიუხედავად ბათუმის კომსოლოსტების ავტოკრატია-პროპაგანდისა, რომ ხალხს არ ედღესასწაულოა ბურჟუაზიული აზრებობა, ადგომლობრივმა ინტელიგენციამ, მოახლოვდა თუ არა ხსენებულთ დღესასწაული, მაინც დიდი მზადება ღმწყო; მოწყვეტილი იქნა საერთო კრება, სადაც აირჩიეს დღესასწაულის მომწყობი კომისია. რომელიც იმ დღიდანვე შეუდგა დაკისრებული მოვალეობის შესრულებას; კომისიის პირველ სხდომაზე დაისვა ორი ძირე-ხელმძიანი“ საკითხი: 1. დღესასწაულისათვის ღვინის შეძენა და 2. ამ დღისათვის თამადის არჩევა.

პირველმა საკითხმა კომისიის წევრთა შორის გამოიწვია დიდი კამათი. ბოლოს გამოტანილ იქნა შემდეგი რეზოლუცია: ვინაიდან კახური ღვინი ძვირია და მისი შეძენა დიდს ხარჯებს იწვევს, ამიტომ დღესასწაულისათვის შეძენილ იქნას სეირის თეთრი ღვინო; მხოლოდ ამ დადგენილების სისრულეში მოყვანა მიენდოს სეირის ღვინოების დიდ მცოდნეს ალბერტ ჟენეს. (რეზოლუციამ გამოიწვია მეტუხარე ტაში და დიდი ოვაციები) რაც შეეხება მეორე საკითხს, ერთმა კომისიის წევრმა შეიტანა წინადადება, რომ ოამადის არჩევა გადაეღვათ დღესასწაულის დღისათვის, მაგრამ ხმის დიდი უმრავლესობით გამოტანილი იქნა რეზოლუცია: თამადად არჩეული იქნას ამ თავიდანვე; კომისია ერთხმად ირჩევს ამ თანამდებობაზე ბათუმის ვაზეთ „მწვერვალის“ გამომცემელ * ოუმბრისტს „ოხოხობის“ დამსწრე საზოგადოებაში ატყდა ხმაურობა; მოთხოვეს ფსევდონი „ოხოხობის“ გახსნა. კომისიის თავმჯდომარემ, თანახმად მოთხოვნისა, კრებას წარუდგინა „ოხოხობა“, რომლის დანახვამ გამოიწვია დიდი ოვაციები და „ცედურნი“ მრავალმნიშვნელობის სიმღერა (ფეხზე ადგომით), ექსტაზში მოსულმა კრებამ, ნიშნულ პატივისცემისა, მხრებზე დაისვა პრემიერ-თამადა „ოხოხობა“ და მიიყვანა „მწვერვალის“-ს რედაქციის წინ, სადაც მას („ოხოხობის“ რედაქციის სახელით მიესალმა რედაქტორი დ.

*) ამხ. რედაქტორი! მეცდომით დავსწერე „გამომცემელი“, უნდა იყო „გამომჩენილი“.

კასრადე, რომელმაც თავისი სიტყვა დაასრულა ასე: მაშ, გისურვებ ნიჭის გაშლას ამ მიმართულებით, (ოუმბრისტული) შენ იქნები ღირსეული მემკვიდრე ეშმაკისა და ზაგუნასა; მე კი ამ ზღვა ხალხის თანადასწრებით ვაძლევ პატიოსან სიტყვას, რომ დიდათ შევიმოკლემ ჩემი წერილების რიცხვს „მწვერვალში“. შენ დაგომობდ გავითის პირველ გვერდს (მოწინავეს გარდა) და დანარჩენ სამ გვერდს კი ჩემი ლექსების — და წერილებისათვის ეკმარებ, მით უმეტეს „მეფე არლეკინი“-ს უკანასკნელი მოქმედება და დამარჩა; შემდეგ საზოგადოებას მიესალმა „მწვერვალის“ გამომცემელი. ჩიქვანია; მან თავის სიტყვას დასასრულში საყვედურით მიმართა დ. კასრასეს: მე თქვენ უფლებას არ ვაძლევთ, რომ ადგილი წამართვათ „მწვერვალში“, რომელსაც მხოლოდ ჩემი წერილების მეოხებით აქვს (მოგონებანი სასულიერო სემინარ. ცხოვრებიდან). გასავალი ფართო მასაში. (ეს უკანასკნელი სიტყვა კარგად ვერ გავიგე, გეონია ნათქვამი იყო „მასაში“) ამას რომ თავი დავენებოთ, მატერიალური დამხმ., და აქ სიტყა ვერ დაასრულა მეტად ადღეღებულმა თ. ჩიქვანიაში. მაგრამ ხალხს ამისთვის მაინცა და მაინც დიდი ყურადღება არ მიუქცევია, წამოიყვანეს „ოხოხობა“ და იქვე ეკლესიის გალავანზე დასვეს და დაუშინეს ყვავილების „ხალხი“.

პირველი დღის მუშაობა ამით დამთავრდა. ილ. ჟენესი იმ საღამოსვე გაემგზავრა სეირში განსაკუთრებული მატარებლით ღვინის მოსატანად, მაგრამ, დახე უზედობას, მიუხელოდა თუ არა რიონის სადგურს ეს განსაკუთრებული მატარებელი დაეჯახა „მაქსიმ გოგის“ და ჟენესი რალაც სასწაულოთ გადაარჩა. მხოლოდ ბოჭკები კი ერთიანად დაიმტერა.

ეს სამწუხარო ცნობა კი ბათუმში მიიღო კომისიამ ადღგომის მესამე დღეს. ჟენესი კი დამარუნდა ადღგომის მეორე კვირის და ჩამოიტანა სეირის თეთრი ღვინის მაგივრად ზაღადის საუკეთესო ფორელი, და რადგან მისამართი უნებლიეთ შეშლოდათ, ღვინო მიიღო ბათუმში ერთ-ერთმა ღვინის საწყობმა. საქმე ახლაც ძიების პროცესშია.

ფარსადან.

სტამბა გაზეთ „ზარიც ვოსტოკა“-სი, კრუზინშტეინის ქუჩ. №. 4